

**სომხური, ბერძნული, ესტონური და
გერმანული ენები
აფხაზეთში (1864-1939 წწ.)
ARMENIAN, GREEK, ESTONIAN,
AND GERMAN LANGUAGES
IN ABKHAZIA (1864-1939)**

გვანცა გვანცელაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Gvantsa Gvantseladze

Sokhumi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

Beginning in 1864, the Russian Empire initiated a mass influx of colonists from various nationalities into Abkhazia which radically changed the ethnic and linguistic situation of the region. None of the languages of those diasporas enjoyed any privilege except Russian, the knowledge of which was mandatory for the population of every nationality. Among other languages, schools and churches were sometimes allowed to use the Georgian, Abkhazian, Armenian, Greek, German, and Estonian languages. However, studying and conducting religious services in these languages were frequently prohibited.

Prior to the end of the 19th century, no school books, fiction, religious literature, or study materials were printed in languages other than Russian in Abkhazia; no national press or theatres existed. The regime's fear of knowledge and progress led to the prohibition of any expression of nationality. It was only at the beginning of the 20th century that the establishment of Abkhazian national schools and the creation of theatrical troupes became possible, although these developments were still insufficient.

The policy of the communist regime towards minority languages in Abkhazia in 1921-1939 was rather peculiar. Minority languages were divided into two groups. The Greek, Armenian, Estonian, German, and Turkish languages were granted more rights. This included the opening of national schools where the studying process was conducted in those languages, the issuance of newspapers in Greek and Armenian languages, the establishment of Greek and Armenian sections in the Writers Union, and the operation of Greek and Armenian theatres, among other initiatives.

The prevailing background highlighted the complete absence of rights for languages such as Ukrainian, Belarusian, Abaza, Polish, the Karaim language, Kazan Tatar, and others primarily spoken at home. These languages were destined to perish in favor of the Russian language.

Such differentiation persisted until 1938, when the languages of all ethnic groups lacking autonomy in the Soviet Union faced sudden and widespread assaults. During these attacks, Greek, German, Estonian, and Turkish schools were closed in Abkhazia. Additionally, Greek and Armenian sections in the Writers Union of Abkhazia were shut down, and the actors, directors, and other personnel of Sokhumi's Greek and Armenian theatres were dismissed. Under the January 24, 1938 regulation of the Organizational Bureau of the Communist Party Central Committee, all Greek, Estonian, and German schools were closed, and Russian and Georgian schools were established in their place. During these repression acts, the population got the impression that they were planned and implemented under the Tbilisi initiative. However, linguistic repression was ongoing throughout the USSR, with the real objective being the acceleration of the Russification process among minorities whose languages were suppressed. After achieving their ultimate strategic goal of establishing socialism worldwide, the plan was to merge different ethnicities and languages and ensure the dominance of one or two languages.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში XIX საუკუნის II ნახევარში; ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთში XX საუკუნის 30-იან წლებში; ეთნიკურ-ენობრივი უმცირესობები აფხაზეთში 1864-1939 წლებში.

Keywords: The Russian language policy in Abkhazia during the second half of the 19th century and the 1930s, ethnic-linguistic minorities in Abkhazia in 1864-1939.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ნაწილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტისა „ენათა ფუნქციონირება აფხაზეთის ასსრ-ში XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა პოლიტიკის კონტექსტში“ (OTG-I-232). პროექტი მიზნად ისახავდა აფხაზეთში გავრცელებულ ენათა მიმართ კომუნისტური რეჟიმის მიერ განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის გამოკვლევას საარქივო დოკუმენტების საფუძველზე. საკითხი პირველად დამუშავდა მონოგრაფიული წესით.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის სამთავრო მისი არსებობის ბოლო პერიოდში, 1864 წლამდე, არ ყოფილა მონოეთნიკური და მონოლინგვური პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული. აქ ამ დროისათვის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ აფხაზები და ქართველები, თუმცა აქა-იქ იყო ოსმალური დაფანტული (დისპერსიული) ჯგუფებიც: ვაჭრები, მოლები, ხოჯები, ხელოსნები. სავარაუდოა, რომ ასევე მცირერიცხოვანი იყო დღევანდელი გაგრის რაიონის ტერიტორიაზე დაფანტული უზიხური და ადიღური (ჩერქეზული) ჯგუფებიც... 1864, 1867 და 1877-1880 წლებში აფხაზთა მასობრივი მუჰაჯირობის შედეგად დაცლილ ტერიტორიებზე რუსეთის იმპერიამ სხვა ქვეყნებიდან მასობრივად შემოასახლა რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, გერმანელები, ესტონელები, რამაც რადიკალურად შეცვალა მხარის

ეთნიკური და ენობრივი ვითარება. ამ დიასპორათაგან პრივილეგირებულ მდგომარეობაში არცერთი არ ყოფილა, რუსების გარდა. მხოლოდ რუსებს არ ეკრძალებოდათ დედაენის გამოყენება ყველგან და ყოველთვის: რუსული ენა გაბატონებული იყო ახლად დაარსებულ რუსულ სოფლებშიც, დაბა-ქალაქებშიც, კანცელარიებშიც, სკოლებშიც, ეკლესია-მონასტრებშიც, სავაჭროებშიც... იმავე რუსული ენის ცოდნა სავალდებულო იყო ყველა ეროვნების მოსახლეობისათვის კარიერის ასაწყობად, ეკონომიკური საქმიანობისათვის, სხვა ეროვნების პირებთან ურთიერთობისათვის, ოფიციალური მიმოწერისათვის... სხვა ენათაგან ოჯახის გარეთ დროდადრო ნებადართული იყო სკოლებსა და სალოცავებში ქართულის, აფხაზურის, სომხურის, ბერძნულის, გერმანულის, ესტონურისა და თურქულის გამოყენება, თუმცა ამ ენებზე სწავლება და ღვთისმსახურება საკმაოდ ხშირად იკრძალებოდა. ამ მხრივ იმპერიის ხელისუფლება და რუსული ეკლესია განსაკუთრებით ემტერებოდნენ ქართველებსა და ქართულ ენას, აგრეთვე აფხაზებსა და აფხაზურ ენას. ხშირი იყო შემთხვევები, როცა აფხაზურ სოფლებში გახსნილ სკოლებსა და ეკლესიებში არ რთავდნენ აფხაზური ენის გამოყენების ნებას, განუვითარებელი ენააო, მაგრამ არც აფხაზთა სურვილს იწონებდნენ, ჩვენს შვილებს ქართულად მაინც ასწავლეთო – არ სურდათ აფხაზს ქართული ესწავლა, ვინაიდან აფხაზ-ქართველთა დაახლოებას იმპერიისათვის სახიფათოდ მიიჩნევდნენ (ვრცლად იხ. წიგნში: გვანცელაძე... 2021).

მეთოდოლოგია

ნაშრომში ენობრივი სიტუაცია, კერძოდ, სომხური, ბერძნული, ესტონური და გერმანული ენების ფუნქციონირება გაანალიზებულია აღწერითი და შედარებითი მეთოდების გამოყენებით. ანალიზი ემყარება საკვლევ პერიოდში შედგენილ უნიკალურ დოკუმენტებს, რომელთა უმრავლესობა აქამდე ან სრულიად უცნობი იყო მკვლევართათვის, ანდა ნაკლებად იყენებდნენ. შედარებითი მეთოდი მოშველიებულია დასახელებული ენების ფუნქციონირებაში არსებული მსგავსებისა და სხვაობათა დასადგენად.

მსჯელობა

ცარიზმის დროს, კერძოდ, XIX საუკუნის მიწურულამდე, აფხაზეთში არარუსულ ენებზე არ იბეჭდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული, რელიგიური, სასწავლო ლიტერატურა, არ არსებობდა პრესა, ეროვნულ თეატრებზე ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა... ყოველგვარი ეროვნულის აკრძალვას განაპირობებდა რეჟიმის უკიდუგანო შიში სინათლის, ცოდნისა და პროგრესისადმი. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გახდა შესაძლებელი აფხაზეთში აფხაზური, ქართული, ბერძნული და სომხური მოყვარულთა თეატრალური დასების ჩამოყალიბება და გასვლითი სპექტაკლების ჩვენება დაბა-სოფლებში. ქალაქ სოხუმში პირველი ორი შენობა თეატრისათვის ააგეს ბერძნებმა: 1911 წელს ვაჭარმა და სოხუმის ელიტური (ბერძნული) საზოგადოების თავმჯდომარემ **ქრისტოფორ სამურიდიმ** მის მიერ გაღებული თანხით აშენებული შენობა აჩუქა ქალაქს. თეატრს ქ. სამურიდიმ თავისი მეუღლის პატივსაცემად **ანასტასიას თეატრი** დაარქვა, მაგრამ ხალხი **სამურიდის თეატრის** სახელით მოიხსენიებდა.

თეატრი 200 მაყურებელს იტევდა. სწორედ ამ შენობაში ამოქმედდა პირველი ბერძნული და სომხური სამოყვარულო თეატრალური დასები. სოხუმში მეორე თეატრი ააგო პირველი გილდიის ვაჭარმა და აბრეშუმის მეწარმე **იოაკიმ ალოიზიმ**. ამ თეატრის შენება 1912 წელს დასრულდა. იგი 800 მაყურებელზე იყო გათვალისწინებული. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ი. ალოიზის თეატრი სახელმწიფოს ხელში გადავიდა, **პირველი სახელმწიფო თეატრი** ეწოდა და მასში უპირატესად რუსული, ქართული და აფხაზური დასები დგამდნენ სპექტაკლებს. სამურიდის თეატრს **მეორე სახელმწიფო თეატრი** დაერქვა და მასში მოქმედებდა ბერძნული და სომხური დასები. ალოიზის თეატრი 1949 წელს დაიწვა და მის ადგილას აშენდა **სამსონ ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრი**, რომელსაც ორი დასი ჰქონდა: აფხაზური და ქართული. ქართული დასი აქედან სხვა შენობაში გადავიდა 1982 წელს (Arymaa 2016: 109).

საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე ბერძნებს აფხაზეთის ბერძნულ სოფლებში ჰქონდათ **მართლმადიდებლური ეკლესიები**, რომლებშიც ღვთისმსახურება ძირითადად ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ ეკლესიებთან მოქმედებდა **სამრევლო სკოლები**, რომლებშიც სასწავლო პროცესი პირველ კლასში ბერძნულად წარიმართებოდა, მომდევნო კლასებში კი – რუსულად. ზოგ სოფელში სახელმწიფო სკოლებიც არსებობდა, რომლებშიც სწავლების ენა რუსული იყო.

სომხებს ჰქონდათ გრიგორიანული ეკლესიები სომხურენოვანი ღვთისმსახურებით, ამ ეკლესიებთანაც მოქმედებდა სამრევლო სკოლები სომხურ-რუსული სწავლების სისტემით, ხოლო სახელმწიფო სკოლები სომხურ სოფლებშიც მხოლოდ რუსულად მუშაობდა.

სომეხთა მსგავსი პირობები ჰქონდათ ესტონელებსა და გერმანელებსაც: მათ სოფლებში მოქმედებდა ლუთერანული ეკლესიები, ეკლესიებთან არსებობდა ორენოვანი სამრევლო სკოლები ან რუსულენოვანი სახელმწიფო სკოლები.

XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის დაშლამდე აფხაზეთში დასახლებულ და სხვა უმცირესობათა ენებზე უკვე მოქმედებდა ფუნქციის ნებაყოფლობითი კულტურული ორგანიზაციები, კერძოდ:

- სოხუმის ელინური (ბერძნული) საზოგადოება. დაარსდა 1905 წელს;
- სოხუმის რომაულ-კათოლიკური საზოგადოება. დაარსდა 1908 წელს. შედგებოდა სოხუმის კათოლიკური ეკლესიის მრევლისაგან (ჭარბობდნენ პოლონელები);
- სოხუმის პოლონური საზოგადოება „პოლონური სახლი“. დაარსდა 1917 წელს;
- სოხუმის ებრაული საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა სამლოცველო და დაწყებითი ებრაული სასწავლებელი;
- სოხუმის ლუთერანთა საზოგადოება თავისი ლუთერანული ეკლესიითურთ. მრევლისა და საზოგადოების წევრთა უმრავლესობა გერმანელები და ესტონელები იყვნენ;
- სოხუმის ესტების (ესტონელთა) საზოგადოება;
- სოხუმის ყარაიმთა საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა ყარაიმიზმის რელიგიური დაჯგუფების თურქულენოვან მიმდევრებს;

- სოხუმის სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება;
- „უკრაინული საზოგადოების“ („უკრაინსკა ჰრომადა“-ს) სოხუმის განყოფილება (Arymaa 2016: 233-234).

შენიშვნა: XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აფხაზეთში ასევე არსებობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება და მისი ანალოგიური აფხაზთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ასევე, თეატრის მოყვარულთა გაერთიანებები.

ამრიგად, ცარიზმის დროს ბერძენ, სომეხ, ესტონელ და გერმანელ კოლონისტებს თითქმის ერთნაირი პირობები ჰქონდათ დედაენის გამოყენებისა, რაც იმპერიის მიერ წარმოებული ენობრივი პოლიტიკის ფარგლებში თავსდებოდა: სახელმწიფო სრულებით არ ზრუნავდა არარუსული მოსახლეობის ენების ფუნქციონირებაზე, ვინაიდან დაუფარავად ისახავდა მიზნად მათ გარუსებას და გამონაკლისს არ უშვებდა ამ მხრივ.

პროექტზე მუშაობისას გამოვლენილი და ადრე ცნობილი დოკუმენტური მასალის მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას მის მიერვე დეკლარირებული ხალხთა და ეროვნებათა თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგო, პროვოკაციული სამართლებრივი და პრაქტიკული დამოკიდებულება ჰქონდა მხარეში გავრცელებული ენების მიმართ: მხარეში წარმოდგენილ ერთადერთ რეალურად პრივილეგირებულ და სახელმწიფოსაგან ყოველმხრივ მხარდაჭერილ ენად ცარიზმის პერიოდის მსგავსად კვლავაც რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა, აფხაზური და ქართული ენები, რომლებსაც ოფიციალურად მიანიჭებული ჰქონდათ აფხაზეთის ხელშეკრულებითი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა (1921-1930 წწ.) და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (1931 წლიდან) სახელმწიფო ენების ოფიციალური სტატუსი, პრაქტიკულად ვერ ასრულებდნენ სამართლებრივი სტატუსის შესაბამის ფუნქციებს, თუმცა ქართულს სახელმწიფო ენად გამოყენების მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ისტორიის მქონეობისა და შესაბამისი ენობრივი მონაცემების არსებობის გამო მაინც მეტი ასპარეზი ჰქონდა გამოსაყენებლად, ვიდრე მოკლე წერილობითი ისტორიის მქონე და სახელმწიფო ენის ფუნქციების შესასრულებლად მოუმზადებელ აფხაზურ ენას. ეს სხვაობა კომუნისტებმა მოხერხებულად გამოიყენეს აფხაზი მოსახლეობის ფარული რუსიფიცირებისა და აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა დამაბვისათვის, როცა 20-იან წლებში შექმნილ ე.წ. აფხაზურ სკოლებში სწავლების ენად აფხაზური დააწესეს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, ხოლო ზედა ორ საფეხურზე სწავლების ენად რუსული დააკანონეს. ასე შეიქმნა სიტყვით ეროვნული და საქმიით რუსული, ე.წ. აფხაზური სკოლა, რომელიც დღემდე არსებობს და უწყვეტად განაგრძობს აფხაზთა თაობების გარუსებას.

რაც შეეხება აფხაზეთში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შემოყვანილი, ერთი მხრივ, შედარებით მრავალრიცხოვანი სომხური, ბერძნული, გერმანული, ესტონური, აგრეთვე თურქული და, მეორე მხრივ, სხვა დიასპორების ენებს (უკრაინულს, პოლონურს, აზერულს, ყარაიმულს,

ყაზანის თათრულს, ბელარუსულს...), არც მათ ჰქონდათ არავითარი სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ **დამოკიდებულება ამ ორი ჯგუფის მიმართ რეჟიმის მხრიდან მაინც საკმაოდ დიფერენცირებული აღმოჩნდა**: პირველი ჯგუფის ენებს: ბერძნულს, სომხურს, ესტონურს, გერმანულსა და თურქულს (მათ პირობით ვუწოდებთ **ბერძნულ ჯგუფს**) 1921-1937 წლებში შედარებით მეტი ყურადღება ექცეოდა და გამოყენების უფრო ფართო სფეროები ჰქონდათ, ვიდრე **უკრაინული ენის ჯგუფს**.

შენიშვნა: ბერძნული ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ყველა დიასპორას აფხაზეთში ჰქონდა ორზე მეტი სოფელი მაინც, ზოგს (ბერძნებსა და სომხებს) ძალიან ბევრიც, ხოლო უკრაინული ჯგუფის ენებზე მოსაუბრენი არსად იყვნენ წარმოდგენილნი კომპაქტურ დასახლებებად. როგორც ჩანს, ესეც იყო ამ ჯგუფებისადმი ბოლშევიკების განსხვავებული დამოკიდებულების განმსაზღვრელი.

ქვემოთ წარმოვაჩენთ ენათა ორივე ჯგუფს შორის არსებულ როგორც მსგავსებას, ისე სხვაობას:

განათლების სისტემა

არც ბერძნული და არც უკრაინული ჯგუფის ენები არ გამოიყენებოდა **უმაღლესი განათლების ენად**. 1932 წელს დაარსებულ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ეს ენები არ გამოიყენებოდა სწავლების ენად, **გამონაკლისი იყო გერმანული ენა**, რომელსაც ინსტიტუტის ყველა სპეციალობის სტუდენტთა ნაწილს ასწავლიდნენ მხოლოდ როგორც ერთ-ერთ უცხო ენას და არა როგორც მხარის გერმანული მოსახლეობის დედაენად.

1937 წლის ჩათვლით **სასკოლო განათლებაში გამოიყენებოდა ბერძნული, სომხური, გერმანული, ესტონური და თურქული ენები, ოღონდ ისინი სწავლების ენა იყო მარტო დაწყებით კლასებში**, ანუ პირველ ოთხ წელიწადს, მომდევნო ორ საფეხურზე სწავლების ენად **მხოლოდ სომხური გამოიყენებოდა** იმიტომ, რომ იგი **ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ენა** იყო და მეტი უფლებები ჰქონდა. ამ მხრივ ბერძნული ჯგუფის ენები აფხაზური ენის თანაბარ დონეზე იდგნენ. რაც შეეხება უკრაინულ ჯგუფში შემავალ ენებს, ისინი უფრო ქვედა საფეხურს განეკუთვნებოდნენ. იგივე ხდებოდა დედაენაზე გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოთა გამოყენების მხრივ: სომხურ სკოლებში წიგნები შემოდიოდა სომხეთიდან, გერმანული წიგნები – ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკიდან, ესტონური სახელმძღვანელოები – ლენინგრადიდან, ხოლო ბერძნული წიგნები ჯერ საბერძნეთიდან შემოიტანეს, მაგრამ სპეციალურმა კომისიამ დაიწუნა ისინი „ბურჟუაზიული შინაარსის“ გამო, წიგნები გაანადგურეს და ბერძენი მოსწავლეები ყველა საგნის რუსულად სწავლებაზე გადაიყვანეს, მოგვიანებით კი ბერძნულად სახელმძღვანელოები დაიწერა და გამოიცა დონის როსტოვში, საიდანაც ისინი აფხაზეთშიც ჩამოიტანეს (ჭაავაძე 2020: 198).

მხატვრული ლიტერატურა, წიგნების ბეჭდვა, მასმედია

აფხაზურად, ქართულად, რუსულად, ბერძნულად და სომხურად იწერებოდა მხატვრული ლიტერატურა, რომელთა ნაწილი ორიგინალის ენაზე იბეჭდებოდა სოხუმში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ

„კომსომოლუც აზხაზი“-ში. მწერალთა კავშირში 1934 წლიდან მოქმედებდა აფხაზური, ქართული, რუსული, ბერძნული და სომხური სექციები. გამოდიოდა გაზეთები: აფხაზური „აფსნი ყაფშ“ (1919 წლიდან), ქართული „საბჭოთა აფხაზეთი“ (1937 წლიდან), რუსული „სოვეტსკაია აზხაზია“ (1926 წლიდან), ბერძნული „კოკინოს კაპნას“, მაგრამ არ გამოდიოდა გაზეთები სომხურად, თურქულად და უკრაინული ჯგუფის ენებზე.

1936 წლიდან მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო ენობრივი პოლიტიკის ახალი ეტაპი, როცა შეიკვეცა ეთნიკურ-ენობრივ უმცირესობათა ენების უფლებები, რამაც პიკს მიაღწია 1938 წლიდან:

1. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1938 წლის 24 იანვრის დადგენილებით მთელ საბჭოთა კავშირში დაიხურა ე.წ. განსაკუთრებული ტიპის ეროვნული სკოლები და ეროვნული განყოფილებები ჩვეულებრივ სკოლებში (დადგენილება 1, 1938, გვ. 342). ეს დოკუმენტი კატეგორიულად მოითხოვდა ავტონომიის არმქონე ეთნოსთა ენებზე მომუშავე ყველა სკოლის გარდაქმნას ჩვეულებრივ სკოლებად, რომლებშიც ბერძნული ჯგუფის ენებზე სწავლება აიკრძალა და მათ ნაცვლად სწავლის პროცესი უნდა წარმართულიყო რუსულად, ან მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე. ეს დადგენილება აფხაზეთში პირდაპირ შეეხო ბერძნულ, ესტონურ, გერმანულ და თურქულ სკოლებს (აგრეთვე ლაზურ და მეგრულ სკოლებსაც), რომლებშიც შეწყდა მოსწავლეთა დედაენებზე სწავლება და ისინი გადაიქცა რუსულ ან ქართულ სკოლებად.

2. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) 1938 წლის 13 მარტის დადგენილებით სავალდებულო გახდა რუსული ენის გაძლიერებული სწავლება ეროვნული რესპუბლიკების, ავტონომიებისა და ოლქების ყველა სკოლაში (დადგენილება 2, 1938, გვ. 391-394).

3. შეწყდა ბერძნული გაზეთის გამოცემა, გაუქმდა სომხური და ბერძნული თეატრალური დასები, ასევე მწერალთა კავშირის ბერძნული და სომხური სექციები, ხოლო ბერძენთა დიდი ნაწილის მიმართ დაიწყო რეპრესიები და სამგზის – 1939, 1942 და 1944 წლებში მოხდა მათი დეპორტირება ციმბირსა და შუა აზიაში, მხოლოდ მცირე ნაწილმა გაასწრო საბერძნეთში და შეინარჩუნა სიცოცხლე.

ბერძენთა მსგავსი ბედი ეწიათ აფხაზეთში მოსახლე გერმანელებსაც: მათი ნაწილი გერმანიასთან ომის დაწყებამდე დააპატიმრეს და დახვრიტეს, მეორე ნაწილი კი 1941 წლის 21 ოქტომბერს გერმანიასთან ომის დაწყების გამო დედაწულიანად აჰყარეს აფხაზეთის სამივე გერმანული სოფლიდან (ნაიდორფიდან, გნადენბერგიდან, ლინდაუდან) და დაბა-ქალაქებიდან და გაასახლეს შუა აზიაში (Заводская 2018).

დასკვნები

ამრიგად, კომუნისტური რეჟიმი XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან 1936 წლის „დიდ კომუნისტურ რეფორმამდე“ დიფერენცირებულად ეპყრობოდა ეთნიკურ-ენობრივ უმცირესობათა ორივე ჯგუფს: ბერძნული ჯგუფის ენებს (ბერძნულს, სომხურს, გერმანულს, ესტონურსა და თურქულს) მინიჭებული ჰქონდათ ბევრად უფრო მეტი უფლებები, ვიდრე უკრაინული ჯგუფის ენებს, რომლებიც, როგორც ჩანს,

მსოფლიოს ენათა შერწყმა-გაქრობისა და მსოფლიოში საბოლოოდ ერთი (ინგლისური), ან ორი (ინგლისური და რუსული) ენის გაბატონების ლენინ-სტალინ-ლუნაჩარსკის კონცეფციის საფუძველზე გაქრობის უპირველეს „კანდიდატებად“ იყვნენ მიჩნეულნი, მოლაპარაკეთა რიცხოვრივი სიმცირის გამო რუსული ენის მიერ გადასაყლაპად იყვნენ განწირულნი.

მეორე ეტაპზე, 1936 წლის შემდგომ, განსაკუთრებით კი 1938 წლიდან, განწირულ ენათა კატეგორიაში უკვე ბერძნული ჯგუფიც მოხვდა (სომხურის, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის ენის გამოკლებით). ამ ჯგუფის ენების უფლებათა მოულოდნელ შეკვეცასა და მათი ფუნქციების მოკავშირე რესპუბლიკის ენისათვის, ანუ ქართულისათვის გადაკისრებას აშკარად პროვოკაციის ქვეტექსტი ჰქონდა და მიზნად ისახავდა არა მარტო ენობრივი, არამედ ინტერეთნიკური კონფლიქტის გაღვივებას ქართველებსა და აფხაზების ეთნიკურ უმცირესობებს შორის.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

გვანცელაძე... 2021: გვანცელაძე თ., ჭაავა ს. აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... თბილისი, 2021.

დადგენილება 1, 1938: Постановление Оргбюро ЦК ВКП(б) «О ликвидации национальных школ и национальных отделений в школах», 24 января 1938г. წიგნში: «ЦК ВКП(б) и национальный вопрос», т.2. Москва, 2009.

დადგენილება 2, 1938: Постановление ЦК ВКП(б) «Об обязательном изучении русского языка в национальных республик и областей», 13 марта 1938г. წიგნში: «ЦК ВКП(б) и национальный вопрос», т.2. Москва, 2009.

ჭაავა 2020: ჭაავა ს., საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებში. თბილისი, 2020.

Агумаа 2016: Агумаа А.С., Старый Сухум. Архитектура Сухума на рубеже XIX-XX вв. Сухум, 2016.

Заводская 2018: Заводская Е., Немецкий след в Абхазии. <https://www.ekhokavkaza.com/a/29557543.html>